საქართველოს
სასამართლოს გუშაგი
GEORGIAN COURT WATCH

საქართველოს სასამართლოს გუშაგი

ანგარიში ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების შესახებ

საქართველოს სასამართლოს გუშაგი

ანგარიში ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების შესახებ

ანგარიში გამოიცა ევროპის ფონდის დაფინანსებით, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. ანგარიში არ გამოხატავს ევროპის ფონდის და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი:

ნაზი ჯანეზაშვილი, საქართველოს სასამართლოს გუშაგის დირექტორი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს სასამართლოს გუშაგის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ლუბლიანას ქ. N 13ბ, 0159 თბილისი, საქართველო
info@courtwatch.ge / 032 219 70 04

www.courtwatch.ge

© 2023, საქართველოს სასამართლოს გუშაგი

შინაარსი

შესავალი 4

1. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები 5

1.1 მოსამართლის დანიშვნა, დაწინაურება და მივლინება 5

1.1.1 ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა ოდენობა და მოსამართლეების დანიშვნები 5

1.1.2 მოსამართლის მივლინება 8

1.1.3 კონკურსის გარეშე დანიშვნა/დაწინაურება 10

1.2 მოსამართლეთა სპეციალიზაცია 13

1.3 დისციპლინური სამართალწარმოება 17

2. სასამართლოს ეფექტიანობის სტანდარტი 18

2.1 განხილული საქმეების მაჩვენებელი წლის განმავლობაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და გაჭიანურებული საქმეები 18

2.2 ერთ დღეში მიღებული 16 გადაწყვეტილება 21

2.3 სასამართლო აპარატის მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობა და სასამართლოს თავმჯდომარეების ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება 22

2.4 აპარატის მოხელეთა ფუნქციები და შრომის ანაზღაურება 25

2.4.1 შრომის ანაზღაურება 25

2.4.2 სამუშაო აღწერილობა 27

2.4.2.1 სასამართლოს მენეჯერი 27

2.4.2.2 მოსამართლის თანაშემწე და სხდომის მდივანი 32

3. გამჭვირვალობის სტანდარტები ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგალითზე 35

3.1 სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია 35

3.2 სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა ვებგვერდზე 38

3.3 საჯარო ინფორმაციის გაცემა 39

რეკომენდაციები 39

შესავალი

„ევროპის ფონდის“ მხარდაჭერით საქართველოს სასამართლოს გუშაგმა პროექტის „აქტიური მოქალაქეების ჩართულობა უკეთესი სასამართლო სისტემისთვის“ ფარგლებში ქუთაისსა და რუსთავში ჩამოაყალიბა სასამართლო გუშაგების ქსელი, რომელშიც გაწევრიანდნენ ადვოკატები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სტუდენტები და სასამართლო სისტემით დაინტერესებული მოქალაქეები. ქსელის მიზანია იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც სასამართლოს მომხმარებლებს სასამართლო სისტემასთან ურთიერთობისას ექმნებათ.

ამავდროულად, ქსელის წევრებმა და საქართველოს სასამართლო გუშაგმა ერთობლივად შეიმუშავეს პრობლემების ადვოკატირების გეგმა. შესაბამისად, თავდაპირველად სასამართლოებიდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია. უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს სასამართლოს გუშაგს“ ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან ინფორმაციის მიღებაზე პრობლემები შეექმნა. საბოლოოდ, 2 თვის შემდეგ, სასამართლომ განცხადებას პასუხი გასცა და ორგანიზაციას მოთხოვნილი ინფორმაციების ნაწილი მიაწოდა.

გარდა ამისა, სასამართლო გუშაგების ქსელის წევრებთან ერთობლივად შეგროვდა მასალები და მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა ანგარიში ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების თაობაზე. შესაბამისად, ანგარიშის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ ქსელის წევრები და ერთობლივი მსჯელობის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები. დამატებით, ანგარიშში დამუშავებულია სასამართლოებიდან მოწოდებული ინფორმაცია და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტები. ანგარიშის მეთოდოლოგიის მიხედვით, ანგარიშის მიზანი იყო, ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მაგალითზე გვეჩვენებინა სასამართლოს ადმინისტრირებაში ქსელის წევრების ჩართულობით გამოვლენილი ხარვეზები, რომელთაგან უმეტესობის გამოსწორება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პასუხისმგებლობაა. თუმცა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ნაწილში ნათლად გამოვლინდა, რომ თავად სასამართლოები არიან პასიურები საჯარო ინფორმაციის გაზიარების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობა ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში არ არის პრიორიტეტული საკითხი.

ანგარიში შედგება 3 ძირითადი თავისგან, რომელიც ასევე ეხმიანება სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიაში განსაზღვრულ ძირითად მიზნებს. ანგარიშს ერთვის შესაბამისი რეკომენდაციები.

1. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები

1.1 მოსამართლის დანიშვნა, დაწინაურება და მივლინება

1.1.1 ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა რაოდენობა და მოსამართლეების დანიშვნები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე და 28-ე მუხლების მიხედვით, საქალაქო/რაიონული და სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიასა და მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი ვაკანტური ადგილის წარმოშობის შემთხვევაში თავად ადგენს კონკურსის გამოცხადების თარიღს და კანონი მას არ ზღუდავს წინასწარ გამოაცხადოს კონკურსი მოსალოდნელი ვაკანსიის გამოჩენამდე. სასამართლო გუშაგის მიერ მომზადებულ სტატიაში[1] ნათლად ჩანს 2017-2021 წლებში საერთო სასამართლოების სისტემაში შეუვსებელი ვაკანსიები და სასამართლოები, სადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეებს არ ნიშნავს.[2]

ამ მხრივ არც ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებია გამონაკლისი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 15 მოქმედი მოსამართლე და 7 ვაკანტური ადგილია. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 9 მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას, მათ შორის არის 3 მაგისტრატი მოსამართლე - ტყიბულის, წყალტუბოს და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში და დარჩენილია 4 ვაკანსია[3] (მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წყალტუბოს მაგისტრატი მოსამართლე მალხაზ ჩუბინიძე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გადაიყვანა). შესაბამისად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ამჟამად 9 მოქმედი მოსამართლეა, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში - 15.

გამოიკვეთა, რომ ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეები ინიშნებოდნენ ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია/პალატაში და, დაახლოებით, 1 თვის ვადაში ხდებოდა მათი დანიშვნა იმ კოლეგიაში/პალატაში, სადაც შემდეგ ხანგრძლივი პერიოდით ახორციელებენ უფლებამოსილებებს.

[1] ინფორმაციისთვის იხილეთ სტატია: რატომ არ ივსება მოსამართლეთა ათეულობით ვაკანტური ადგილი? ბმული: https://bit.ly/3hJWQlx
[2] იგივე.
[3] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 3 ივნისის #443/1472-03-ო წერილი. ბმული: https://bit.ly/3OitqXV

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის და მოსამართლის **ლერი თედორაძის** ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლედ გამწესების შემდეგ 2019 წლის 3 ივნისიდან, 1 ვაკანტური ადგილი გაჩნდა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.[4] ამავე პერიოდს ემთხვევა **ნიკოლოზ მარგველაშვილის** მოსამართლედ გამწესება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარე ნიკოლოზ მარგველაშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე დაინიშნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 3 ივნისიდან გამწესდა მოსამართლედ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.[5]

რამდენიმე კვირაში, 2019 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, ნიკოლოზ მარგველაშვილი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გადაიყვანა უკვე სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.[6]

ჩნდება შეკითხვა:

რა მიზანს ემსახურებოდა ნიკოლოზ მარგველაშვილის დანიშვნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, როდესაც მის მიერ მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება ამ კოლეგიაში 1 თვეზე ნაკლები ვადით გაგრძელდა, რადგან მალევე გადავიდა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნიკოლოზ მარგველაშვილის თავდაპირველი დანიშვნისას სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას მოსამართლის 1 ვაკანტური ადგილი ჰქონდა.

ამ შემთხვევაში საინტერესოა ისიც, რომ ნიკოლოზ მარგველაშვილს სამუშაო გამოცდილება აქვს სისხლის სამართლის მიმართულებით და მოსამართლის გამოცდაც ჩაბარებული აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.[7]

ნიკოლოზ მარგველაშვილის შემთხვევის მსგავსი იყო მოსამართლე **ნანა კალანდაძის** დანიშვნა. ის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2018 წლის 11 იანვრიდან გამწესდა სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში,[8] ხოლო რამდენიმე კვირაში, 30 იანვრიდან დაინიშნა სამოქალაქო საქმეთა პალატაში, სადაც ამჟამად ახორციელებს მოსამართლის უფლებამოსილებას.[9] ბუნებრივია, მოსამართლის ასეთი მოკლევადიანი დანიშვნა ერთ კოლეგიაში და შემდეგ მისი სხვა კოლეგიაში გადაყვანა კითხვებს იწვევს.

---

[4] 2019 წლის 24 მაისი https://bit.ly/3USRFyq
[5] 2019 წლის 24 მაისი https://bit.ly/3hYGtSn
[6] 2019 წლის 20 ივნისი https://bit.ly/3Oo96V9
[7] ბმული: https://bit.ly/3zhwrRT
[8] 2018 წლის 11 იანვარი https://bit.ly/3hVD9r1
[9] 2018 წლის 29 იანვარი https://bit.ly/3OlAHGi

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის დროს იყო შემთხვევები, როდესაც მოსამართლეობის რამდენიმე კანდიდატს ჯერ უარი განუცხადეს, ხოლოდ შემდეგ მაინც გაამწესეს თანამდებობაზე ამავე სასამართლოში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას, რატომ ეთქვა კანდიდატს რამდენჯერმე უარი დანიშვნაზე, რომელიც მოსამართლის თანამდებობაზე მოგვიანებით მაინც გამწესდა.

მოსამართლე **გოჩა დიდავა** 2016 წლის 14 ივლისს დაინიშნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.[10] დიდავამ 2014[11] და 2015[12] წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან უარი მიიღო და მხოლოდ რამდენიმე ცდის შემდეგ გამწესდა თანამდებობაზე. მსგავსი იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, **მარინე იმერლიშვილის** შემთხვევა. მარინე იმერლიშვილი 2012 წლის 20 ნოემბრიდან გამწესდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ.[13] მოსამართლეს, 2020 წლის 26 ივნისს გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, უარი ეთქვა, დაეკავებინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის მოსამართლის ან საგამოძიებო პალატის მოსამართლის თანამდებობა უვადოდ.[14] მოგვიანებით, 1 წლის შემდეგ, 2021 წლის 18 ივნისიდან ის მაინც დაინიშნა სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში უვადოდ.[15]

3-წლიანი გამოსაცდელი ვადა მოსამართლისთვის წარმატებული არ აღმოჩნდა, რადგან ის არ გაამწესეს თანამდებობაზე. მოგვიანებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ის მაინც გაამწესა მოსამართლის თანამდებობაზე. საბჭოს მოტივაცია მოსამართლის დანიშვნაზე უარის ან თანხმობის შესახებ გაუგებარია.

[10] 2016 წლის 14 ივლისი https://bit.ly/3gm7izm
[11] 2014 წლის 12 ნოემბერი https://bit.ly/3EKpKuO
[12] 2015 წლის 2 ნოემბერი https://bit.ly/3OnLnob
[13] 2012 წლის 19 ნოემბერი https://bit.ly/3Vfput4
[14] 2020 წლის 18 ნოემბერი https://bit.ly/3AsLOry
[15] 2021 წლის 17 ივნისი https://bit.ly/3tLJnMU

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე **მიხეილ ბებიაშვილი** 2014 წლის 12 ნოემბერს გათავისუფლდა თანამდებობიდან, ვადის გასვლის გამო.[16] დაახლოებით, 1 წელში, 2016 წლის 4 იანვრიდან, მოსამართლე 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით გამწესდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე.[17] 3-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, 2019 წლის 4 იანვრიდან, მოსამართლე კვლავ გათავისუფლდა თანამდებობიდან. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიზეზად მითითებული აქვს უფლებამოსილების ვადის გასვლა.[18] მოგვიანებით, 2020 წელს მოსამართლე დააბრუნეს სისტემაში და კონკურსის წესით გაამწესეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.[19] გამომდინარე აქედან, გაურკვეველი დარჩა: *თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა ერთხელ დაიწუნეს მოსამართლის კანდიდატურა და უარი უთხრეს მოსამართლის საქმიანობის გაგრძელებაზე, რატომ შეიცვალეს აზრი და რატომ დანიშნეს მოგვიანებით?*

1.1.2 მოსამართლის მივლინება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 2019 წლის რედაქციის 37[1]-ე მუხლი განსაზღვრავდა, რომ *„რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის არყოფნის ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პირველ რიგში, მიმართავს იმავე ინსტანციის ტერიტორიულად ახლოს მდებარე სასამართლოების მოსამართლეებს, ხოლო მათგან წერილობითი უარის მიღების შემთხვევაში, იმავე ინსტანციის სხვა სასამართლოების მოსამართლეებს. მოსამართლე შეიძლება მივლინებულ იქნეს სხვა სასამართლოში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, მოსამართლის თანხმობით, 1 წლამდე ვადით. მივლინების ვადის გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 1 წლით, რისთვისაც აუცილებელია მოსამართლის თანხმობა.“*

ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოსამართლის ერთი სასამართლოდან მეორეში მივლინების მიზეზი სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის თავიდან აცილება უნდა ყოფილიყო. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგალითზე მსჯელობისას იკვეთება, რომ მოსამართლეების მივლინება არ ხდებოდა ამავე სასამართლოს ყველაზე დატვირთულ კოლეგიაში, სადაც ახალი კადრის დამატება ყველაზე მეტად იყო საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მივლინების ამოცანა სასამართლოს გადატვირთულობის შემცირება ვერ იქნებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განხილულ საქმეებში დაუმთავრებელი საქმეების წილი იყო:

[16] 2014 წლის 12 ნოემბერი https://bit.ly/3VdtbzD
[17] 2015 წლის 25 დეკემბერი https://bit.ly/3OlBnLU
[18] 2018 წლის 31 დეკემბერი https://bit.ly/3tLslhO
[19] 2020 წლის 18 ნოემბერი https://bit.ly/3EMOlPF

- 2017 წელს - 17%
- 2019 წელს - 16%

ხოლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2017 და 2019 წლებში განხილულ საქმეებში დაუმთავრებელი საქმეების წილმა 46% შეადგინა.[20]

2019 წლის 20 ივნისს ნანა ჯოხაძე ოზურგეთის რაიონული სასამართლოდან მივლენილი იქნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. ერთი წლის შემდეგ, 2020 წელს, მოსამართლეს გაუგრძელეს მივლინების ვადა 1 წლით, ხოლო საბოლოოდ 2021 წელს კონკურსის წესით დანიშნეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.[21]

ნანა ჯოხაძის მივლინების თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავდაპირველ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია[22], რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის მივლინება საქმეთა გადატვირთულობის თავიდან აცილებას ემსახურებოდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2019 წელს ნანა ჯოხაძის მივლინების შესახებ გადაწყვეტილებაში არგუმენტად უთითებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის დატვირთულობას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ახლომდებარე - *ზესტაფონის და სამტრედიის რაიონული სასამართლოებიდან მოსამართლეებმა მივლინებაზე თანხმობა არ განაცხადეს. მხოლოდ ერთმა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნანა ჯოხაძემ გამოხატა თანხმობა.*

საინტერესოა ასევე განვიხილოთ მოსამართლე მურთაზ კაპანაძის შემთხვევა, რომელიც 2017 წლის 25 მაისს კონკურსის საფუძველზე გამწესდა სამტრედიის რაიონული სასამართლოში.[23] ორ კვირაში, 2017 წლის 12 ივნისს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო მურთაზ კაპანაძის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მივლინების გადაწყვეტილება, ისე რომ მოსამართლეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში არც კი დაუწყია უფლებამოსილების განხორციელება და მის მიერ არცერთი საქმის არსებითი განხილვა არ მომხდარა.[24]

ასეთი გადაწყვეტილება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მურთაზ კაპანაძის ქუთაისში მივლინება თავიდანვე შეთანხმებული იყო. ამას ამყარებს გარემოება, რომ მოსამართლეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში საქმეები არ განუხილავს: დანიშვნიდან, დაახლოებით, 2 კვირაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, სისხლის საქმეთა კოლეგიაში მიავლინეს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთების მიხედვით, მოსამართლის მივლინება კვლავ საქმეთა გადატვირთულობის თავიდან აცილების მიზნით განხორციელდა.

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლო: https://bit.ly/3GtYan1
[21] 2021 წლის 17 ივნისი https://bit.ly/3EpXH2A
[22] 2019 წლის 20 ივნისი https://bit.ly/3OkzYp7
[23] 2017 წლის 11 მაისი https://bit.ly/3go7dv4
[24] 2017 წლის 12 ივნისი https://bit.ly/3TUxVsV

2019 წლიდან, მას შემდეგ, რაც მურთაზ კაპანაძე უვადოდ გამწესდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ,[25] სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემიდან ირკვევა, რომ ის იხილავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამოქალაქო საქმეებს. ამ პირობებში უცნაურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიდგომა მოსამართლის სპეციალიზაციასთან დაკავშირებით - მურთაზ კაპანაძე შეიძლება მივიჩნიოთ სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლედ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას სისხლის სამართალში აქვს ჩაბარებული მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, არამედ იმის გამოც, რომ სამოსამართლო გამოცდილება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის კუთხით აქვს.

როგორც იკვეთება, მოსამართლეთა მივლინების მიზანი რეალურად არ არის საქმეთა გადატვირთულობის აღმოფხვრა ან შემცირება. 2017-2019 წლებში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის კოლეგიაზე მეტად იყო დატვირთული სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, თუმცა ქუთაისში მოსამართლეთა მივლინება განხორციელდა არა სამოქალაქო, არამედ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

1.1.3 კონკურსის გარეშე დანიშვნა/დაწინაურება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მოსამართლის სხვა სასამართლოში კონკურსის გარეშე დანიშვნის წესი. თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე, მისივე თანხმობით, კონკურსის გარეშე შესაძლოა დაინიშნოს რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. თუ მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი კონკურსის გარეშე რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში. ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კონკურსის გარეშე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რას ითვალისწინებს 41-ე მუხლი? რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა არანაკლებ 5 წლის განმავლობაში. მოსამართლის დაწინაურების კრიტერიუმებს შეიმუშავებს და მის

[25] 2019 წლის 11 ოქტომბერი https://bit.ly/3V5ySQt

მიხედვით მოსამართლის შეფასებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

გამოდის, რომ კონკურსის გარეშე (37-ე მუხლი) ან კონკურსის წესით (41-ე მუხლი) მოსამართლის დაწინაურებას ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და თავად არის პასუხისმგებელი კრიტერიუმების შემუშავებაზეც. რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე, რომლის თანამდებობაზე გამწესება ხდება კონკურსის გარეშე 37-ე მუხლის საფუძველზე, მაინც უნდა დაექვემდებაროს შეფასებას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის №1/226 გადაწყვეტილების მიხედვით დამტკიცდა „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი,“[26] რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მოსამართლეთა შეფასების კრიტერიუმები. **დოკუმენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის წარმოადგენს სახელმძღვანელოს, როგორ უნდა შეაფასოს მოსამართლეები მათი დაწინაურების, თუ კონკურსის გარეშე ზემდგომ ინსტანციაში დანიშვნისას.**

> **სამწუხაროდ, საბჭოს არ გამოუყენებია შეფასების წესი მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის დროს, რაც დასტურდება საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით.**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **მოსამართლე გოჩა დიდავა დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში** კონკურსის გარეშე, 2019 წლის 15 ივლისს.[27] დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე გოჩა დიდავა მონაწილეობდა მოსამართლის ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულ კონკურსში, სადაც, საბჭოს 2019 წლის 24 მაისის, გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე.[28]

მოსამართლე გოჩა დიდავას მსგავსად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში კონკურსის გარეშე დანიშნული მოსამართლეები არიან **შოთა სირაძე[29] და ინდირა მაშანეიშვილი.[30] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილებები მიღებულია ყოველგვარი კრიტერიუმების და შეფასების გაანალიზების გარეშე, რაც ორგანული კანონის 37-ე მუხლის დარღვევაა.**

---

[26] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბერის გადაწყვეტილება №1/226 https://bit.ly/3gm8J0I
[27] 2019 წლის 9 ივლისი https://bit.ly/3hYsRGI
[28] საბჭოს გადაწყვეტილება #1/187. https://bit.ly/3EMyVec
[29] 2020 წლის 24 იანვარი https://bit.ly/3Xkf1yE
[30] 2019 წლის 9 ივლისი https://bit.ly/3gi43sT

აგრეთვე საინტერესოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები ვასილ მშვენიერაძე, თემურ გოგოხია და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ამირან ძაბუნიძე გარკვეული პერიოდით ახორციელებდნენ უფლებამოსილებას ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე ვასილ მშვენიერაძე 2020 წლის 5 აგვისტოდან ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გადაიყვანეს კონკურსის გარეშე.[31] 2020 წლის დეკემბრის ბოლოდან მოსამართლე თბილისში გადმოიყვანეს ისევ იმავე წესით - კონკურსის გარეშე.[32] მის მსგავსად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თემურ გოგოხიაც კონკურსის გარეშე დაინიშნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2013 წლიდან და თავმჯდომარის უფლებამოსილებასაც ახორციელებდა.[33] მოგვიანებით კი, 2017 წელს, ის თბილისში დანიშნეს კონკურსის გარეშე.[34]

2020 წლის ბოლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ამირან ძაბუნიძე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში დაინიშნა და თავმჯდომარის უფლებამოსილებასაც ახორციელებდა.[35] მოსამართლე უზენაეს სასამართლოში აირჩიეს თანამდებობაზე და 2021 წლის 29 დეკემბრიდან გათავისუფლდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დაკავებული თანამდებობიდან.[36] ამ შემთხვევებში ჩნდება კითხვა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ვასილ მშვენიერაძისა და ამირან ძაბუნიძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოკლე ვადით დანიშვნა არა მხოლოდ მოსამართლედ, არამედ სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზეც.

> **იუსტიციის უმაღლესი საბჭო არაკეთილსინდისიერად იყენებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 37-ე მუხლს, რადგან არ ახორციელებს მოსამართლეების სავალდებულო შეფასებას და ყოველგვარი დასაბუთებისა და კონკურსის გარეშე გადაჰყავს მოსამართლეები სხვა სასამართლოებში. შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკა გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის მოწოდებას, მოსამართლეები დაინიშნონ მხოლოდ დამსახურებისა და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს იმ მოსამართლეებს, რომლებმაც მიმართეს იუსტიციის საბჭოს, თუმცა მათი კონკურსის გარეშე დანიშვნა/დაწინაურება არ მომხდარა.**

[31] 2020 წლის 31 დეკემბერი https://bit.ly/3Awatve
[32] 2020 წლის 23 დეკემბერი https://bit.ly/3AuVim7
[33] 2012 წლის 20 დეკემბერი https://bit.ly/3EP00ha
[34] 2017 წლის 24 ივლისი https://bit.ly/3EnPqfw
[35] 2020 წლის 23 დეკემბერი https://bit.ly/3TVH4RU
[36] 2022 წლის 7 მარტი https://bit.ly/3Xc9WIF

1.2 მოსამართლეთა სპეციალიზაცია

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს #15 დასკვნაში მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესახებ, განსაზღვრულია მოსამართლის სპეციალიზაციის საჭიროება, რომელიც ხელს უწყობს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მაღალ ხარისხს. „სპეციალიზებულ მოსამართლეებს შეუძლიათ დააგროვონ უფრო დიდი გამოცდილება კონკრეტულ დარგებში, რის შედეგადაც შეიძლება გაიზარდოს იმ სასამართლოების ავტორიტეტი, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. საქმის მასალების კონცენტრირება სპეციალიზებულ მოსამართლეთა შერჩეული ჯგუფის ხელში, ხელს უწყობს სასამართლო გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობას, რის შედეგადაც შეიძლება გაუმჯობესდეს გამოტანილი გადაწყვეტილებების სამართლებრივი განჭვრეტადობა.

სპეციალიზაცია დაეხმარება მოსამართლეებს, მრავალჯერ მსგავსი საქმეების განხილვის შედეგად, უკეთესად გააანალიზონ მათთან წარმოდგენილ საქმეებთან დაკავშირებული არსებული რეალობები როგორც ტექნიკურ, ისე სოციალურ თუ ეკონომიკურ დონეებზე და შესაბამისად, გამოიტანონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხსენებული რეალობის უფრო მეტად შესაფერისი იქნება.

სამართლის კონკრეტულ დარგში სპეციალიზაციის შედეგად შემენილი გამოცდილების მეშვეობით შესაძლებელი ხდება საქმეთა წარმოების გაუმჯობესება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია საქმეების მუდმივად მზარდი რაოდენობის პირობებში.“[37]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გამწესებულ მოსამართლეებს უწევთ საქმეების განხილვა სხვა სპეციალიზაციაში, რის საშუალებასაც სასამართლოს თავმჯდომარეს კანონი აძლევს - გაუნაწილოს მოსამართლეს, მისივე თანხმობით, საქმეები სხვა სპეციალიზაციიდან.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად:

„აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად სასამართლოს თავმჯდომარემ ამ კანონის 58[1] მუხლით დადგენილი წესით შერჩეულ მოსამართლეს, მისი თანხმობით, შეიძლება დაავალოს საქმის ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში)

[37] ბმული: https://bit.ly/3OnWtcG

განხილვა, აგრეთვე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განხილვა.“

2022 წლის 17 აგვისტოს #2.51 წერილით[38] მივმართეთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოეწოდებინათ ინფორმაცია მოსამართლეთა სპეციალიზაციის ცვლილების შესახებ და მოვითხოვეთ სასამართლოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებების ასლები. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 26 აგვისტოს წერილით[39] გვიპასუხა, რომ მსგავს ინფორმაციას არ ამუშავებენ, რაც ძალიან უცნაურია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არ არის დაცული თავმჯდომარის ბრძანებები მოსამართლეებისთვის სხვა სპეციალიზაციაში საქმეების განხილვის დავალების შესახებ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, რუსთავის საქალაქო სასამართლომ თავმჯდომარის ბრძანებები მოსამართლეებისთვის სხვა სპეციალიზაციაში საქმეების განხილვის დავალებაზე, 2022 წლის 27 აგვისტოს #1432/გ წერილით[40] მოგვაწოდა.

დამატებით, 2022 წლის 17 აგვისტოს #2.40 წერილით[41] მივმართეთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და ვთხოვეთ, თითოეული მოსამართლეზე ცალ-ცალკე მოეწოდებინა განხილული, დასრულებული და ნაშთად დარჩენილი საქმეების რაოდენობები. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 29 აგვისტოს წერილით[42] მოგვაწოდა აღნიშნული ინფორმაცია, რაც გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, განხილული აქვთ თუ არა მოსამართლეებს საქმეები სხვა სპეციალიზაციაში.

ციცინო მოსიძე 2018 წლის 22 თებერვლიდან უვადოდ დანიშნული მოსამართლეა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.[43]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020 და 2021 წლებში ციცინო მოსიძე, გარდა სამოქალაქო სამართლის საქმეებისა, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებსაც იხილავდა. ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში მოიპოვება ციცინო მოსიძის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე 2019-2020 წლებში მიღებული განაჩენები.[44]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კიდევ ერთი მოსამართლე დარინა აბულაძე 2020-2021 წლებში იხილავდა სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს.

---

[38] https://bit.ly/3EJKMd9
[39] წერილი #9198-2 https://bit.ly/3ENwfgD
[40] https://bit.ly/3hXqCDz
[41] https://bit.ly/3XaPK9U
[42] წერილი #9193-2 https://bit.ly/3hNnwSm
[43] https://bit.ly/3EJL8Av
[44] განაჩენი საქმეზე №1/930-18 22.01.2020 წელი; განაჩენი საქმეზე №1/994-18 26.11.2019 წელი; განაჩენი საქმეზე №1/424-15 08.01.2020 წელი.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო სამართლის დარგში მომუშავე სპეციალისტმა განიხილოს თავისი კვალიფიკაციის შესაბამისი საქმეები და სამართლის სხვა დარგში, მაგალითად, სისხლის სამართლის მიმართულებით არ უწევდეს საქმეების განხილვა, რაც უარყოფითად აისახება სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხზე და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცულობაზე.

მსგავსია მაგისტრატი მოსამართლეების **მანანა ნიკაჭაძის, მალხაზ ჩუბინიძის და ციცინო კიკვაძის მიერ** სხვა სპეციალიზაციის საქმეების განხილვის შემთხვევები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, ისინი მაგისტრატი მოსამართლის საქმეებს უნდა განიხილავდნენ.

მანანა ნიკაჭაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის 20 ოქტომბრიდან უვადოდ გამწესებული მაგისტრატი მოსამართლეა ბაღდათის მუნიციპალიტეტში.[45] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020 და 2021 წლებში მანანა ნიკაჭაძეს, გარდა მაგისტრატი მოსამართლის საქმეებისა, განსახილველად ჰქონდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საქმეები. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში იძებნება მის მიერ 2019-2020 წლებში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები.

მალხაზ ჩუბინიძეც უვადოდ გამწესებული მაგისტრატი მოსამართლე იყო (2022 წლის ნოემბრიდან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშნა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.[46] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020 და 2021 წლებში მალხაზ ჩუბინიძეს, გარდა მაგისტრატი მოსამართლის საქმეებისა, განსახილველად ეწერა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის საქმეები. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში იძებნება მის მიერ 2019-2020 წლებში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები.

ციცინო კიკვაძე უვადოდ გამწესებული მაგისტრატი მოსამართლეა ტყიბულის მუნიციპალიტეტში.[47] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წელს ციცინო კიკვაძე, მაგისტრატი მოსამართლის საქმეების

[45] 2017 წლის 20 ოქტომბერი https://bit.ly/3TRdVHy
[46] 2017 წლის 11 მაისი https://bit.ly/3hVFZwb
[47] 2016 წლის 28 ოქტომბერი https://bit.ly/3UQIKNL

გარდა, განიხილავდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის საქმეებსაც. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში მოიპოვება მისი გადაწყვეტილებები სისხლის[48] და სამოქალაქო კატეგორიის საქმეებზე.

> **სასამართლო გუშაგების ქუთაისის ქსელის წევრი ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მაგისტრატი მოსამართლეების მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ფუნქციების შესრულება აფერხებს მათი ძირითადი საქმეების დროულად განხილვას. მაგისტრატი მოსამართლე თავის დაქვემდებარებაში არსებულ საქმეებს იხილავს და პარალელურად დიდი რაოდენობით უნაწილდება საქმეები ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით. ქსელის წევრი ადვოკატების განცხადებით, მათი გამოცდილების მიხედვით, რთულია ერთი პროფესიონალი თანაბრად მაღალი კვალიფიკაციის იყოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებში. აღნიშნული იწვევს საქმეების განხილვის შეფერხებას და ვადების დარღვევას, ისევე როგორც მოქალაქეების უკმაყოფილებას.**

სპეციალიზაციის ცვლილების კიდევ ერთი შემთხვევა ქუთაისის **სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლერი თედორაძეს ეხება.** ის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და ამავდროულად სასამართლოს თავმჯდომარე იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. მოსამართლე კონკურსის წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დაინიშნა. 2021 წლის 26 ივლისიდან კი საქმეებს იხილავს ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.[49] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში არ არის მოცემული სათანადო დასაბუთება, გაიარა თუ არა მოსამართლემ, რომელიც წლების განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლე იყო, შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, როცა სხვა სპეციალიზაციით გამწესდა. ***რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმის საჭიროებას, რომ იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ წინასწარ უნდა ჩაუტაროს მოსამართლეს შესაბამის დარგში კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი.***

[48] განაჩენი საქმეზე №1/125-19, 15 ოქტომბერი, 2019 წელი; განაჩენი საქმეზე №1/1103-18; 9 ოქტომბერი. 2019 წელი; განაჩენი საქმეზე №1/1079-18, 16 ივლისი 2019 წელი.
[49] 2021 წლის 23 ივლისი https://bit.ly/3TTLdGb

1.3 დისციპლინური სამართალწარმოება

სასამართლო რეფორმის ფარგლებში შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებები მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და პროცედურული ნორმების გაუმჯობესების საკითხებზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი დისციპლინური საკითხის განხილვის მიზნით იწვევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ საბჭოს მდივნის მხრიდან დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით სხდომების მოწვევას არ ჰქონდა რეგულარული ხასიათი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილული საჩივრების რაოდენობა კრიტიკულად დაბალი იყო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ, საკანონმდებლო ცვლილებებს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. ამას მოწმობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ წარდგენილი საჩივრების განუხილველობაც, რადგან დისციპლინური სამართალწარმოება, საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, სათანადოდ არ მიმდინარეობდა, ხოლო საბჭო სხდომებს საჭირო ინტენსივობით არ ატარებდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 14 ივლისის #416/220-03 წერილის მიხედვით, **ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ:**

- 2019 წელს შევიდა 3 საჩივარი, საიდანაც 1 საჩივარზე შეწყდა დისციპლინური წარმოება ხანდაზმულობის მიზეზით, ხოლო 2 საჩივარზე მომზადდა დასკვნა, რომელიც გადაეგზავნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. მას დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება.
- 2020 წელს შევიდა 5 საჩივარი, საიდანაც 1 საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო 4 საქმეზე მომზადდა დასკვნა. საბჭოს გადაწყვეტილებით, ოთხივე საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.
- 2021 წელს შევიდა 6 საჩივარი, საიდანაც 1 საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო 5 საქმეზე მომზადდა 4 დასკვნა. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ:

- 2019 წელს შევიდა 7 საჩივარი, საიდანაც 2 საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება, 5 საქმეზე მომზადდა 4 დასკვნა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით 2 საქმეზე შეწყდა წარმოება, ხოლო 2 საქმეზე დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება.
- 2020 წელს შევიდა 5 საჩივარი, საიდანაც 3 საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება, 2 საქმეზე მომზადდა დასკვნა და საბჭოს გადაწყვეტილებით ორივე საქმეზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დისციპლინური სამართალწარმოების ინსტიტუტი სათანადოდ არ მუშაობს, რაც

კვლავ გამოიხატება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების სხდომების არჩატარების პრაქტიკით. დამოუკიდებელი ინსპექტორის რეფორმამდე და რეფორმის შემდგომი მდგომარეობა შინაარსობრივად არსებითად არ განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციული მხარე უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა, შედეგობრივი თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. ოფიციალური წერილის მიხედვითაც დასტურდება, რომ გაუმჯობესდა ვითარება საქმეების მომზადების თვალსაზრისით, მათ შორის - დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხდომებს რეგულარულად კვლავ არ ატარებს და, შესაბამისად, დროულად არ განიხილავს ინსპექტორის დასკვნებს.

აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ ქუთაისის სასამართლო გუშაგების ქსელის წევრებიც. მათი თქმით, გაჭიანურებული საქმეების შესახებ მოსამართლეების მიმართ განაცხადი რამდენჯერმე წარადგინეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში, თუმცა უშედეგოდ. საბჭომ ან არ განიხილა საჩივარი ან შეწყვიტა წარმოება, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე მომდევნო ჯერზე კვლავ წარადგინონ არსებულ დარღვევებზე საჩივარი.

2. სასამართლოს ეფექტიანობის სტანდარტი

2.1. განხილული საქმეების მაჩვენებელი წლის განმავლობაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და გაჭიანურებული საქმეები

> ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში არაერთი გაჭიანურებული და სამოქალაქო საპროცესო ვადების დარღვევით განხილული საქმეა, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას და აზრს უკარგავს მართლმსაჯულების განხორციელებას. სასამართლო გუშაგების ქუთაისის ქსელის შეხვედრებზე არაერთხელ გაესვა ხაზი მოსამართლეების დატვირთულობასა და მათ მიერ გაჭიანურებული საქმეების არსებობას, რაც გასაკვირი არ არის იმ პირობებში, როდესაც სასამართლოებს შეუვსებელი ვაკანსიები აქვთ, ხოლო დატვირთული მოსამართლეები ვერ ახერხებენ ვადების დაცვას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეების მიერ განხილული საქმეები პალატების მიხედვით:







მოსამართლეთა დატვირთულობის ანალიზის მიხედვით, როგორც ირკვევა, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიები ყველაზე მეტად არიან დატვირთულები. 2021 წლის მონაცემებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 55.7%-ია განუხილველი საქმეების მაჩვენებელი წლის ბოლოს, ხოლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმეების 42.1% დარჩა განუხილველი.[50]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 თანახმად, ,,თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე, მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.“

მიუხედავად კანონის ამ ჩანაწერისა, ქუთაისის საქალაქო სასამართლო გამონაკლისი არ არის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევის თვალსაზრისით. მაგალითად, საქმეზე #080210019003290720 (№2/3069-19) მოსამართლემ სარჩელი წარმოებაში ქსელის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღო 2019 წლის ნოემბერში, ხოლო მისი განხილვა დაასრულა 2022 წლის თებერვლის თვეში; საქმეზე #2/2058-19 (080210119003142973) სარჩელი წარმოებაში მიიღო 2019 წლის აგვისტოს თვეში,

[50] საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი 08.07.2022 # პ-875 და # პ-899-22. ბმული: https://bit.ly/3AsORA0

ხოლო განხილვა დაასრულა 2021 წლის 30 ივნისს; საქმეზე #080210021005043303 სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო 2021 წლის სექტემბერში და დაასრულა 2022 წლის ივნისის თვეში; საქმეზე #080210021004403052 მოსამართლემ სარჩელი წარმოებაში მიიღო 2021 წლის თებერვლის თვეში და დაასრულა 2022 წლის 22 ივნისს.

გარდა სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო პროცესების გაჭიანურებისა, მსგავსი პრობლემებია სისხლის სამართლის საქმეებზე. კერძოდ, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, როდესაც მოსამართლე საპატიმრო ვადით არ არის შეზღუდული და შეუძლია საქმის განხილვა გააგრძელოს.[51]

2.2. ერთ დღეში მიღებული 16 გადაწყვეტილება

მხარდამჭერის მიმღებ პირად ცნობის, მხარდაჭერის ფარგლებისა და უფლებამოვალეობების განსაზღვრის შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ერთი და იმავე მოსამართლის მიერ გამოტანილი 44 გადაწყვეტილება იქნა შესწავლილი.[52] გამოვლინდა, რომ მოსამართლის მიერ ერთი დღის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა შემდეგია:

- 20.12.2019 - 16 გადაწყვეტილება
- 11.11.2019 - 14 გადაწყვეტილება
- 28.03.2019 - 13 გადაწყვეტილება

ვინაიდან გადაწყვეტილებებში მითითებული არ არის სარჩელის წარდგენის თარიღი, შესაბამისად შეუძლებელია ვივარაუდოთ, რა ვადებში მიიღო მოსამართლემ გადაწყვეტილებები, რომლებიც ემყარება ფსიქო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნებს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ არაერთი გადაწყვეტილების მიღების თარიღი საერთოა, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები სხვადასხვა რიცხვით თარიღდება, რომელთა შორის დიდი ინტერვალია. ამ შემთხვევაში პრობლემურია არა მხოლოდ საქმის დროული განხილვა, შესაძლოა კითხვები გაჩნდეს ექსპერტიზის დასკვნის ვალიდურობასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის ჩატარებიდან გასული იქნება ხანგრძლივი დრო. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამ კატეგორიის საქმეები სენსიტიურობით გამოირჩევა, ამიტომ, მნიშვნელოვანია სასამართლომ საქმეები გონივრულ ვადებში განიხილოს.

- *2019 წლის 20 დეკემბერს სასამართლოს მიერ მიღებული სხვადასხვა გადაწყვეტილება ეფუძნება ექსპერტიზის დასკვნებს, რომელიც მომზადდა 13.03.2019 - 09.12.2019 პერიოდში;*
- *სასამართლოს 2019 წლის დეკემბრის გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე ცხრა თვის წინ, 2019 წლის მარტის ექსპერტიზის დასკვნას ეყრდნობა; ხოლო სხვა საქმეზე - ექსპერტიზის დასკვნიდან რამდენიმე კვირაში მიიღო გადაწყვეტილება;*
- *მსგავსი სიტუაცია სასამართლოს მიერ 2019 წლის 11 დეკემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებებზეც - ერთ-ერთ საქმეზე ექსპერტიზის დასკვნიდან 11 თვეში*

[51] სისხლის სამართლის საქმე #088141221801.
[52] ბმული: https://bit.ly/3EmRRPm

მიიღო სასამართლომ გადაწყვეტილება, ხოლო სხვა საქმეზე - ექსპერტიზის დასკვნიდან 2 თვეში.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა: **შეეძლო თუ არა მოსამართლეს, რომ 2019 წლის 20 დეკემბერს მიღებული 16 გადაწყვეტილებიდან რომელიმე საქმის განხილვა უფრო ადრე დაესრულებინა?** მაგალითად, ერთ შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნიდან ორ კვირაში გამოიტანა გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, მოსამართლე ასეთ საქმეებს ყოველთვის შემჭიდროებულ ვადებში არ განიხილავს და რჩება შთაბეჭდილება, რომ ის ერთ კონკრეტულ თარიღს განსაზღვრავს რამდენიმე საქმეზე გადაწყვეტილებების მისაღებად (გამოსაცხადებლად).

2.3. სასამართლო აპარატის მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობა და სასამართლოს თავმჯდომარეების ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების აპარატის მოხელეთა რაოდენობას, აპარატის სტრუქტურას და საშტატო ნუსხას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს. **შედეგად, სასამართლო ადმინისტრირების სისტემა ცენტრალიზებულია და სასამართლოებს დამოუკიდებლად სასამართლო სტრუქტურის განსაზღვრა ან სასამართლო აპარატის მოხელეთა რაოდენობის დადგენა არ შეუძლიათ.**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 18 იანვრის განკარგულების მიხედვით,[53] ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსაზღვრულია სასამართლო აპარატის მოხელის 53 შტატი, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში - 79 შტატი.

საბჭოს მიერ განსაზღვრული სტრუქტურის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 10 მოსამართლისთვის გათვალისწინებულია მოსამართლის თანაშემწის 12 და სხდომის მდივნის 12 შტატი, თუმცა ამჟამად უფლებამოსილებას 7 მოსამართლე ახორციელებს და 3 ადგილი ვაკანტურია.

3 მაგისტრატი მოსამართლის შემთხვევაში კი მათი პერსონალი შემოიფარგლება სხდომის მდივნის 3 შტატით. **მაგისტრატ მოსამართლეებს, საშტატო ნუსხის მიხედვით, თანაშემწეები არ ჰყავთ.**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთი გამონაკლისი სასამართლოა, რომელსაც შტატით ჰყავს სპეციალისტი საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადების ნაწილში, რაც, მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს საშტატო ნუსხაში არ არის გათვალისწინებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული სტრუქტურა აქვს. საშტატო ნუსხის მიხედვით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 15 მოსამართლეს ჰყავს 22 თანაშემწე, ამავდროულად სასამართლოში 7 მოსამართლის ვაკანტური ადგილია. გარდა ამისა, ასევე შტატით გათვალისწინებულია 10 მწერალი თანაშემწე და 11 სხდომის მდივანი.

[53] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება #1/3 https://bit.ly/3Vh9sPL

ქუთაისის საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ჩამოყალიბებულია საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება, კანცელარიის და მოქალაქეთა მისაღების განყოფილებაში გამოყოფილია სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის და საგამოძიებო საქმეთა პალატების სექტორები, სადაც შესაბამისი სპეციალისტების შტატებია გათვალისწინებული. ასევე, სასამართლოს ჰყავს საარქივო მიმართულების სპეციალისტი, რასაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ვერ ვხვდებით. თუმცა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით, არ არის გათვალისწინებული ანალიტიკური სამსახური, რომლის მთავარი ფუნქცია უნდა იყოს კვლევების წარმოება, საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების გაცნობა და მოსამართლეებისთვის მიწოდება.

წლების წინ საქართველოს სასამართლო სისტემაში დაინერგა სასამართლოს მენეჯერების ინსტიტუტი. მენეჯერს სასამართლოს თავმჯდომარისთვის უნდა ჩამოეცილებინა ადმინისტრაციული ფუნქციები, რათა მას უფრო მეტი დრო ჰქონოდა საქმეების განსახილველად წლის განმავლობაში.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 56-ე მუხლის მიხედვით:

სასამართლოს აპარატის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ახორციელებს სასამართლოს მენეჯერი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. სასამართლოს მენეჯერი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასამართლოს აპარატის მოსამსახურეებს ***(სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსის, სასამართლოს მანდატურის, მოსამართლის თანაშემწისა და სასამართლო სხდომის მდივნის გარდა).***

კანონის ნორმისა და საშტატო ნუსხის[54] ანალიზის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს უფლება აქვს თანამდებობაზე დანიშნოს და გაათავისუფლოს:

- წამყვანი სპეციალისტი (საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადების საკითხებში) – 1 თანამშრომელი;
- კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების განყოფილების უფროსი, წამყვანი სპეციალისტი, სპეციალისტი, სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - 8 თანამშრომელ ი;
- მაგისტრი მოსამართლის აპარატის სპეციალისტი - 3 თანამშრომელი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მენეჯერის უფლებამოსილებაა 53 თანამშრომლიდან 12-ის დანიშვნა და გათავისუფლება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერს 79 თანამშრომლიდან 14-ის თანამდებობაზე დანიშვნის და გათავისუფლების უფლებამოსილება გააჩნია.

[54] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 18 იანვრის განკარგულება 1/3.

შესაბამისად, მენეჯერული გადაწყვეტილებების დიდ ნაწილს ისევ სასამართლოს თავმჯდომარე იღებს, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ელი და 32-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით ზედამხედველობს და ორგანიზებას უწევს სასამართლო აპარატის მუშაობას. ***მენეჯერი კი დიდწილად დამოკიდებულია სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებების შესრულებაზე და დამოუკიდებლად არ იღებს გადაწყვეტილებებს სასამართლოს ადმინისტრირების საკითხებზე.*** *კანონის ჩანაფიქრი, რომ მენეჯერმა სასამართლოს თავმჯდომარეს „ჩამოაშოროს“ ორგანიზაციული საკითხების მოგვარება და ყოველდღიური რუტინა, შესაძლოა ნაკლებად სრულდებოდეს.*

“საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე და 32-ე მუხლების მიხედვით, როგორც საქალაქო,ისე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე:

„ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, **საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს)** და ამ ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.“

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2022 წლის 29 აგვისტოს მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება იმის თქმა, რომ სასამართლოს თავმჯდომარის კანონით განსაზღვრული ზემოთ აღნიშნული ვალდებულებები არ სრულდება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მივმართეთ თხოვნით, მოეწოდებინათ ინფორმაცია 2020-2021 წლებში მოსამართლეების მიერ ვადის დაცვით ან დარღვევით განხილული საქმეების შესახებ, ასევე იკვლევენ თუ არა გაჭიანურებული საქმეების მიზეზებს და წარუდგენენ თუ არა რეკომენდაციებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გვიპასუხა, რომ არ ახდენს ამგვარი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას.[55] შესაბამისად, გამოდის, რომ სასამართლოში დაცული არ არის ასეთი ინფორმაცია და არც სასამართლოს თავმჯდომარე ასრულებს საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენის ვალდებულებას.

გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს #653/1838-03 წერილის მიხედვით,[56] ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის მოხელეთა დატვირთულობის პროცენტულ მაჩვენებლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ ამუშავებს. საბჭოს წერილის მიხედვით, ასევე დასტურდება, რომ მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაცია და ასევე შესაბამისი რეკომენდაციები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2020-2021 წლის განმავლობაში არ წარდგენილა. შესაბამისად, არ სრულდება სასამართლოს თავმჯდომარეებისთვის კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, დაამუშაონ მოქალაქეთა საჩივრების ინფორმაცია, მოახდინონ განზოგადება და წინადადებები მიაწოდონ საბჭოს.

---

[55] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 22 აგვისტოს წერილი #9194-2; 9196-2. https://bit.ly/3Vh9xmx
[56] ბმული: https://bit.ly/3TNlDSZ

2.4. აპარატის მოხელეთა ფუნქციები და შრომის ანაზღაურება

2.4.1. შრომის ანაზღაურება

ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს აპარატის მოხელეების თანამდებობრივ სარგოებს შორის არსებითი სხვაობებია,[57] განსაკუთრებით ქუთაისის საქალაქო და თბილისის საქალაქო სასამართლოებში დასაქმებული თანაშემწეების, მდივნების, სასამართლო მენეჯერების შემთხვევაში. რაც იმას ნიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში თბილისთან შედარებით მკვეთად დაბალი თანამდებობრივი სარგოა.

შედარებისთვის წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის მოხელეთა ჩამონათვალი (არასრული) და თანამდებობრივი სარგო:

თბილისის საქალაქო სასამართლო	თანამდებობრივი სარგო
სასამართლოს მენეჯერი	4180
ადამიანი რესურსების მართვისა და შიდა კონტროლის სამსახური	
სამსახურის უფროსი	2420
უფროსი კონსულტანტი	2310
წამყვანი სპეციალისტი	1320
სამდივნო	
სამდივნოს უფროსი	2750
მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე	2420
მოსამართლის თანაშემწე	2090
სხდომის მდივანი	1430
სპეციალისტი	1265
კანცელარია	
კანცელარიის უფროსი	2750
მთავარი კონსულტანტი	2420
უფროსი კონსულტანტი	2310
წამყვანი სპეციალისტი	1320
სპეციალისტი	1265
არქივარიუსი (კონსულტანტი)	1760
არქივარიუსი (სპეციალისტი)	1265
მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი	
მთავარი კონსულტანტი	2420
უფროსი კონსულტანტი	2310
კონსულტანტი	1760
კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში	1760
წამყვანი სპეციალისტი	1320

[57] ბმული: http://hcoj.gov.ge/Uploads/2022/4/3-2022.pdf

სპეციალისტი	1265
საიდუმლო საქმისწარმოების სამსახური	
სამსახურის უფროსი	2420
მოსამართლის თანაშემწე-სხდომის მდივანი	2090
კონსულტანტი	1760
ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისა და სტატისტიკის სამსახური	
სამსახურის უფროსი	2420
უფროსი კონსულტანტი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე	2310
კონსულტანტი სასამართლო პრაქტიკის განზოგადების დარგში	1870
უფროსი კონსულტანტი სტატისტიკის დარგში	2200
კონსულტანტი სტატისტიკის დარგში	1760
წამყვანი სპეციალისტი სტატისტიკის დარგში	1320
სპეციალისტი სტატისტიკის დარგში	1265
მანდატურის სამსახური	
სამსახურის უფროსი	2420
სამსახურის უფროსის მოადგილე	2090
მანდატური	1430

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს აპარატის მოხელეთა ჩამონათვალი და თანამდებობრივი სარგო:

ქუთაისის საქალაქო სასამართლო	თანამდებობრივი სარგო
სასამართლოს მენეჯერი	2420
საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება	
მოსამართლის თანაშემწე	1650
სხდომის მდივანი	1100
წამყვანი სპეციალისტი (საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადების საკითხებში)	1100
კანცელარია და მოქალაქეთა მისაღები	
განყოფილების უფროსი	1760
წამყვანი სპეციალისტი	990
სპეციალისტი	935
სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში	990
მაგისტრი მოსამართლის აპარატი	
სხდომის მდივანი	1650
სპეციალისტი	935
მანდატური	1100
მანდატურის სამსახური	1760
სამსახურის უფროსი მანდატური	1100

2.4.2. სამუშაო აღწერილობა

2.4.2.1. სასამართლოს მენეჯერი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სასამართლოს მენეჯერები იურისტები არიან. 2020 წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის მიხედვით, მენეჯერს მოეთხოვებოდა იურისტად მუშაობის 5-წლიანი, ხოლო ხელმძღვანელობით პოზიციაზე მუშაობის მხოლოდ 2-წლიანი გამოცდილება.[58] ***შეიძლება ითქვას, რომ 2-წლიანი მენეჯერული გამოცდილება არ არის საკმარისი იმ საორგანიზაციო ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც მენეჯერის სამუშაო აღწერილობითაა განსაზღვრული.***

სამუშაო აღწერილობა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს, სასამართლოს აპარატის სხვა მოხელეებთან შედარებით, ყველაზე მეტი ფუნქცია აქვს - ჯამში 41.[59]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლოს მენეჯერი:

„1. ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატს და უზრუნველყოფს სასამართლოს აპარატის ეფექტურ მუშაობას;
2. სასამართლოს თავმჯდომარესთან ერთად განსაზღვრავს სასამართლოს სტრატეგიას, ზედამხედველობს სტრატეგიული გეგმების შესრულებას;
3. სასამართლოს თავმჯდომარეს წარუდგენს დასკვნებს და რეკომენდაციებს სასამართლოს ადმინისტრირების მნიშვნელოვან საკითხებზე;
4. უზრუნველყოფს და ახორციელებს კონტროლს სასამართლო აპარატის სტრუქტურული ერთეულების და თანამშრომლების მიერ დაკისრებული ვალდებულებების დადგენილი წესით შესრულებაზე, კანონის და შინაგანაწესის დაცვაზე;
5. ინიციირებას უკეთებს და წარადგენს პროექტებს სასამართლოს განვითარების მიზნით. მართავს სასამართლოში მიმდინარე პროექტებს, ადგენს სამოქმედო გეგმებს და უზრუნველყოფს პროექტების განხორციელებას;
6. აანალიზებს სასამართლოში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, დატვირთულობისა და საქმეთა განხილვის მაჩვენებლებს, საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებულ ინფორმაციას და წარადგენს რეკომენდაციებს;
7. ზედამხედველობს სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებას და მის დასახვეწად წარადგენს რეკომენდაციებს;

[58] ბმული: www.hr.gov.ge ვაკანსიის N59192.
[59] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 აგვისტოს წერილი #6539-1 https://bit.ly/3UUjIgP

8. ზედამხედველობს სასამართლოს ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და წარადგენს რეკომენდაციებს რეორგანიზაციის და სხვა პროცესების კუთხით;
9. ახორციელებს სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასებას მომსახურების ხარისხით, უკმაყოფილების და ხარვეზების გამოვლენას და სათანადო რეაგირებას;
10. ზრუნავს და უზრუნველყოფს საუკეთესო მენეჯერული პრაქტიკის ჩამოყალიბებას, მენეჯერული უნარ-ჩვევების განვითარებას, ეცნობა სასამართლო მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილებას;
11. ზედამხედველობს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს და თანამშრომელთა შეფასების სისტემის სწორ წარმართვას, წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას განსაზღვრულ ვადებში არსებული პროცედურის და კანონის შესაბამისად; ფუნქციონალური რგოლის არსებობის შემთხვევაში კოორდინირებულად მუშაობს ფუნქციონალურ რგოლთან ფუნქციონალური შეფასების უზრუნველყოფისთვის. ახორციელებს დაქვემდებარებული თანამშრომლების შეფასებას და გამოსაცდელი ვადის მართვას და შესაბამის საკადრო ადმინისტრირებას. კოორდინირებულად მუშაობს ფუნქციონალურ რგოლთან ფუნქციონალური შეფასების უზრუნველყოფისთვის;
12. მონაწილეობს აპარატის მოხელეების შერჩევის პროცესში;
13. უზრუნველყოფს საკადრო ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას, ელექტრონულ სისტემაში მონაცემების შეყვანას არსებული წესისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონის თანახმად;
14. ხელს უწყობს სასამართლოს თავმჯდომარეს სწორი სასამართლო კულტურის ჩამოყალიბებაში;
15. თანამშრომლობს საჯარო დაწესებულებებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დონორ ორგანიზაციებთან;
16. ახორციელებს კომუნიკაციას პრესასთან, მედიასთან და მოქალაქეებთან.
17. იცავს და უზრუნველყოფს სასამართლოს თანამშრომლების მიერ კომუნიკაციის სტანდარტების დაცვას;
18. შეიმუშავებს და წარადგენს სასამართლო აპარატის თანამშრომლების წახალისების, დაწინაურების შესახებ წინადადებებს; აინიციირებს იდეებს და რეკომენდაციებს სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით და წარადგენს შემუშავებულ პროექტებს;
19. გამოსცემს მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს;
20. მართავს და მონაწილეობს სასამართლო აპარატის თანამშრომლის დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში;
21. უზრუნველყოფს სასამართლო აპარატის ახალი თანამშრომლის ადაპტაციას და საორიენტაციო პროცესს;
22. უზრუნველყოფს სასამართლო აპარატის თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას, აცნობს დაქვემდებარებულ თანამშრომლებს სიახლეებს და ატარებს შეხვედრებს;
23. უზრუნველყოფს შესაბამის ანგარიშგებას უშუალო უფროსთან;
24. უზრუნველყოფს სასამართლოში შრომით უსაფრთხოების ნორმების დაცვას;
25. წარადგენს შესაბამის ანგარიშებს დადგენილ ვადებში;
26. უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულის ეფექტურ მუშაობას და მართავს უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს;
27. ზედამხედველობს თანამშრომლების საქმიანობას, პერიოდულად აწარმოებს მონიტორინგს შესრულებული სამუშაოს სისწორეზე და ხარისხზე;
28. უზრუნველყოფს შესაბამის დოკუმენტ ბრუნვას - დაქვემდებარებული თანამშრომლების შვებულებების მართვა, დამატებითი უქმე დღეების მართვა, დასწრების მართვა, და სხვა;

29. მართავს დაქვემდებარებული თანამშრომლების მივლინებებს და ტრენინგებზე დასწრებას;
30. უზრუნველყოფს შინაგანაწესის და სხვა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტების შემუშავებას, მის პერიოდულ გადახედვას საჭიროების შემთხვევაში და დაცვას. წარადგენს შემუშავებულ დოკუმენტებს უფროსს, შეაქვს შესაბამისი ცვლილებები საჭიროებისამებრ;
31. უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების პოლიტიკის, შინაგანაწესის გაცნობას თანამშრომლებისთვის;
32. უზრუნველყოფს საკადრო ადმინისტრირებას: ბრძანებებისა და ხელშეკრულებების პროექტების მომზადებას; დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების წარმოებას დადგენილი წესისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის თანახმად;
33. უზრუნველყოფს შესარჩევი კონკურსის ჩატარებას მათ შორის: უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით ვაკანსიის გამოცხადებას, ამზადებს შესარჩევ სიას, უზრუნველყოს შესარჩევ კომისიის დაკომპლექტებას, ამზადებს შესაბამის ოქმებს. ატარებს ტესტირებას, გასაუბრებას, და სხვა საქმიანობა დადგენილი წესის მიხედვით. კოორდინირებულად მუშაობს საჯარო სამსახურის ბიუროსთან და უფროსთან კანდიდატის საჩივრების განხილვის დროს.
34. კოორდინაციას უწევს სამუშაოს შესრულების შეფასების პროცესს, უზრუნველყოფს სამუშაო შესრულების ფორმების დროულ მიღებას და აღრიცხავს, აძლევს რჩევა-კონსულტირებას ფორმის შევსებაზე და პროცესის წარმართვაზე, უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულების პროცესის და ფორმის შევსების წესების დაცვას. უზრუნველყოფს უფროსსა და თანამშრომელს შორის სწორ კომუნიკაციას, და გეგმავს უფროსთან ერთად შესაბამის ნაბიჯებს არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში.
35. უზრუნველყოფს შესაბამის ცნობების მომზადებას თანამშრომლებისთვის;
36. უზრუნველყოფს დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას, აცნობს დაქვემდებარებულ თანამშრომლებს სიახლეებს და ატარებს შეხვედრებს;
37. უზრუნველყოფს გამართულ საკურიერო მომსახურებას;
38. იღებს შვებულებაზე განაცხადებს, ამზადებს ბრძანებების პროექტებს, აწარმოებს შესაბამის მონაცემთა ბაზას;
39. ამზადებს სხვადასხვა ტიპის სტატისტიკას;
40. კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს ხელმძღვანელთა ცალკეულ დავალებებს;
41. ასრულებს სამუშაოსთან დაკავშირებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.“

თუ შევადარებთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერების ფუნქციებს, სააპელაციო სასამართლოს მენეჯერის სამუშაო აღწერილობა ნაკლებად დატვირთულია და არ მოიცავს ადამიანური რესურსების მართვას, სტატისტიკის წარმოებას, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევას, მედიასთან და პრესასთან კომუნიკაციას და ა.შ.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერთან შედარებით, თითქმის ორჯერ ნაკლები ფუნქცია და თითქმის ორჯერ მეტი ხელფასი აქვს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერის ფუნქციები:[60]

1. სასამართლოს აპარატის ხელმძღვანელობის განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან ერთად სასამართლოს სტრატეგიული და მიმდინარე სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და განხორციელების მენეჯმენტი;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა სასამართლოს ადმინისტრირების მნიშვნელოვან საკითხებზე;
4. სასამართლო აპარატის სტრუქტურულ ერთეულებსა და მოსამართლეთა შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა;
5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საჯარო მოსამსახურეთა შორის ფუნქციების სწორად განაწილების კონტროლი;
6. პროექტების მენეჯმენტი, ინიციირება და განხორციელება;
7. სასამართლო პროდუქტებისა და პროცედურების ანალიზი, ცვლილება და სიახლეების იმპლემენტაცია;
8. საუკეთესო მენეჯერის პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე და მენეჯერული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა. სასამართლო მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა;
9. შიდა და გარე საზოგადოებრივი აზრისა და საჭიროებების რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა და კვლევის შედეგების ანალიზი;
10. სასამართლოში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის, დატვირთულობისა და საქმეთა განხილვის მაჩვენებლების, საქმის წარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზი და რეკომენდაციების წარდგენა;
11. სასამართლოს საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირების ზედამხედველობა და მის დასახვეწად რეკომენდაციების წარდგენა;
12. სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით იდეებისა და რეკომენდაციების ინიციირება და შემუშავებული პროექტების წარდგენა;
13. სასამართლოში შრომითი უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა და შინაგანაწესის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლი;
14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შრომისათვის სათანადო პირობების შექმნა;
15. მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების გამოცემა;
16. სასამართლოს ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე ზედამხედველობა;
17. ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული პროცესებისა და თანამშრომელთა შეფასების სისტემის სწორი წარმართვის ზედამხედველობა; დაქვემდებარებული თანამშრომლების წლიური შეფასების უზრუნველყოფა, გამოსაცდელი პერიოდის მართვა;
18. სასამართლო აპარატის თანამშრომლების წახალისების, დაწინაურების შესახებ წინადადებების შემუშავება და წარდგენა;

[60] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 19 აგვისტოს #543-2110 წერილი. https://bit.ly/3UUObva

19. დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა;
20. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოქალაქეთა მიღების მიზნით საშვის დაშვება; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თანამშრომელთა ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საშვის გაცემა;
21. საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეებთან შეხვედრა;
22. საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
23. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის დადგენილი წესის თანახმად შესაბამისი ანგარიშების წარდგენა;
24. კომპეტენციის ფარგლებში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ცალკეული დავალებების შესრულება.

„სასამართლოს გუშაგმა“ ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებიდან გამოითხოვა სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაცია.[61] სასამართლოების პასუხებიდან გამომდინარე შევეცადეთ, გაგვერკვია, სათანადოდ ახორციელებენ თუ არა მენეჯერები სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულ ფუნქციებს.

- ორივე შემთხვევაში, ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მენეჯერების სამუშაო აღწერილობით, მენეჯერი ***„აანალიზებს სასამართლოში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, დატვირთულობისა და საქმეთა განხილვის მაჩვენებლებს, საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებულ ინფორმაციას და წარადგენს რეკომენდაციებს; ასევე, ზედამხედველობს სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებას და მის დასახვეწად წარადგენს რეკომენდაციებს.“***[62]

მენეჯერის მიერ სასამართლოში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის, საქმეთა განხილვის მაჩვენებლების, საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება და რეკომენდაციების წარდგენა იმეორებს სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციებს.[63]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 აგვისტოს #6539-1 წერილით სასამართლომ მოგვაწოდა 2021 წელს შემოსული და განხილული საქმეების ოდენობის შესახებ ინფორმაცია. რაც შეეხება ნაშთად დარჩენილ საქმეებს, ანუ წლის ბოლოს განხილული საქმეების ხვედრით წილს განუხილველად დატოვებულ საქმეებთან შედარებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გვიპასუხა, რომ მოცემულ ინფორმაციას არ ამუშავებს.

დამატებით, „სასამართლოს გუშაგმა“ 2022 წლის 17 აგვისტოს წერილით განმეორებითი მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და ამჯერად მოითხოვა ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა თითოეული მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებს. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დამუშავებული ინფორმაცია მიაწოდა ორგანიზაციას, სადაც ნაშთად დარჩენილი საქმეებიც არის მითითებული.[64]

---

[61] 1) https://bit.ly/3UThxKA 2) https://bit.ly/3XhpvyE 3) https://bit.ly/3VgHq6V 4) https://bit.ly/3UUyDrx 5) https://bit.ly/3TROd5Q

[62] ქუთაისის საქალაქო სასამართლო 2022 წლის 15 აგვისტოს წერილი #6539-1, სქოლიო 70.

[63] „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულის კანონის 23-ე და 32-ე მუხლები.

[64] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 აგვისტოს წერილი # 9193-2 , სქოლიო 46.

შესაბამისად, იკვეთება, რომ სასამართლოში გარკვეულწილად მუშავდება საქმის ნაკადის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია შემოსული, განხილული და ნაშთად დარჩენილი საქმეების შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერის კიდევ ერთი ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს საქმეთა ელექტრონულ წარმოებას და წარადგინოს რეკომენდაციები, თუმცა ბუნდოვანია, ასრულებს თუ არა ის აღნიშნულ ვალდებულებას.

ამ საკითხზე ორგანიზაციამ კითხვით მიმართა **ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. მისი 2022 წლის 15 აგვისტოს #6539-1 წერილით** იკვეთება შემდეგი: ***სასამართლოს არ გააჩნია სტატისტიკური ინფორმაცია თითოეულ მოსამართლეზე ელექტრონული წესით, შემთხვევითობის პრინციპით ან პირდაპირი წესით განაწილებული საქმეების თაობაზე.***

ჩნდება შეკითხვა: თუ სასამართლოებში არ არის დაცული ინფორმაცია, როგორ განაწილდა საქმეები ელექტრონულად თითოეულ მოსამართლეზე, რის მიხედვით უნდა შეისწავლონ პროგრამული ხარვეზები და წარადგინონ რეკომენდაციები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში?

ამის პარალელურად ორგანიზაციისთვის ცნობილია, რომ აღნიშნულ ინფორმაციას ამუშავებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (2022 წლის 19 აგვისტო წერილი #652/1889-03-ო).

სასამართლოს მენეჯერების სამუშაო აღწერილობის მიხედვით, მათი მოვალეობაა იზრუნონ თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. სასამართლო ფინანსების მართვას საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აწარმოებს[65], ხოლო ზემოაღნიშნული სასამართლოები არ არიან ინფორმირებულნი წლიურად რა თანხაა გათვალისწინებული პროფესიული გადამზადების პროგრამებზე. საერთო სასამართლოების ბიუჯეტის 2021 წლის შესრულების ანგარიშით იკვეთება, რომ მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადების ნაწილში პროგრამის 59.4% შესრულდა და ბიუჯეტის 40.1% აუთვისებელია.[66] ნაცვლად იმისა, რომ აპარატის მოხელეთა გადამზადებაზე დაიხარჯოს, საერთო სასამართლოები სრულად არ ითვისებენ გამოყოფილი თანხებს.

2.4.2.2. მოსამართლის თანაშემწე და სხდომის მდივანი

სასამართლოს აპარატის ისეთი მოხელის მოთხოვნები, რომლის ფუნქციები პირდაპირ არის დაკავშირებული სასამართლოში სამართალწარმოების განხორციელებასთან, განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 57-ე მუხლით. რომლის თანახმადაც სასურველია:

- **მიღებული ჰქონდეთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო აპარატის მოხელის სერტიფიკატი;**
- **გავლილი ჰქონდეთ ერთ წლამდე ანაზღაურებადი სტაჟირება საერთო სასამართლოში და სპეციალური სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში,**

[65] საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 54-ე და 55-ე მუხლი.
[66] სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, 2021 წელი; https://www.mof.ge/5521

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სასამართლოს აპარატის მოხელედ დანიშვნისას პირი თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სტაჟირების ან/და სპეციალური სასწავლო კურსის გავლისგან, თუ აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად ან ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
ბ) ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა;
გ) აქვს იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
დ) აქვს სასამართლოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

პირი თავისუფლდება სპეციალური სასწავლო კურსის გავლისგან, თუ გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სპეციალური სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საშტატო განრიგის შესაბამისად გათვალისწინებული აქვს მწერალი თანაშემწის შტატი, რომლის ძირითადი ფუნქციაა სასამართლო აქტების მომზადება. ასევე, მოსამართლის დავალებით **„განსახილველ საქმეზე ადამიანის უფლებებთან და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებული მასალების მოძიება.“** საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, თანაშემწისთვის ინგლისური ენის ცოდნა არ არის გათვალისწინებული. უცნაურია, როგორ დაამუშავებს თანაშემწე საერთაშორისო აქტებს, რომელთა უმეტესობა და, ასევე, პრაქტიკა ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი? ამასთან, მწერალ თანაშემწეს, „ტექნიკური“ თანაშემწის მსგავსად, 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება მოეთხოვება.[67]

მიზანშეწონილია, მწერალ თანაშემწის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში რეკომენდებული იყოს ინგლისური ენის ან სხვა უცხო ენის ცოდნა და უფრო მეტი სამუშაო გამოცდილება სამართლის დარგში, რათა სრულყოფილად შეძლოს სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება.

მაგისტრატი მოსამართლის სხდომის მდივანი, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნისგან განსხვავებით, სასამართლო აქტების პროექტებს ამზადებს, აორგანიზებს საქმისწარმოებას და უზრუნველყოფს სასამართლო პროცესების მომზადებას. ჯამში ორჯერ მეტი - 21 ფუნქციის განხორციელება ევალება, თუმცა მისი შრომის ანაზღაურება არ არის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნის შრომის ანაზღაურებაზე ორჯერ მეტი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნის ფუნქციები შემდეგია:[68]

1. უზრუნველყოფს სასამართლო პროცესისათვის სხდომის დარბაზის მომზადებას;
2. ესწრება პროცესს, უზრუნველყოფს სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერას, დადგენილ ვადაში ადგენს სხდომის ოქმს, ხელს აწერს და წარუდგენს მოსამართლეს, უზრუნველყოფს სხდომის ოქმში პროცესის მიმდინარეობის სრულყოფილ ასახვას და სისწორეს;

[67] ბმული: www.hr.gov.ge ვაკანსიის N65077.
[68] სქოლიო 68.

3. უზრუნველყოფს მხარეთათვის სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შეტყობინებას, აგზავნის სასამართლო უწყებებს, აკონტროლებს უწყებათა სასამართლოში დაბრუნებას და აწვდის ინფორმაციას მოსამართლეს ადრესატისთვის მათი ჩაუბარებლობის მიზეზების შესახებ, უწყებების ჩაუბარებლობის შემთხვევაში ახდენს ადრესატების ინფორმირებას სხდომის თაობაზე სხვა ალტერნატიული გზით. ასევე ინფორმაციას აწვდის მოსამართლეს პროცესის მონაწილეთა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე; ამზადებს სასამართლო სხდომაზე მიღებულ საპროცესო დოკუმენტებს;
4. უზრუნველყოფს საქმის მასალების ქრონოლოგიურ აღწერას და შეკერვას;
5. ადგენს სასამართლო სხდომების გრაფიკებს;
6. არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში სასამართლოს სხდომაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს; აღრიცხავს სხდომის მიმდინარეობასთან დაკავშირებული მონაცემებს; აწვდის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მხარეთათვის გადასაცემ დოკუმენტაციას;
7. უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული, დამთავრებული საქმეების კანცელარიისათვის გადაცემას, მათ სრულყოფას და სიზუსტეს;
8. მოთხოვნისამებრ და კომპეტენციის ფარგლებში აცნობს სამუშაო პროცესებს ახალ თანამშრომელს ან/და სტაჟიორს;
9. კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს ხელმძღვანელთა ცალკეულ დავალებებს;
10. ახორციელებს სამუშაოსთან დაკავშირებულ სხვა უფლება - მოვალეობებს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის სხდომის მდივნის ფუნქციებია:[69]

1. ახორციელებს მოქალაქეებთან კომუნიკაციას, ეცნობა მათ განცხადებებსა და საჩივრებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას;
2. მოსამართლის დავალებით ადგენს სასამართლო აქტების, ასევე სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტებს, უზრუნველყოფს მათ სრულყოფას და სიზუსტეს და წარუდგენს მოსამართლეს;
3. ახორციელებს საქმისწარმოებას, მათ შორის: მიღებული კორესპონდენციის შენახვას, მხარეებისთვის გაგზავნას, უზრუნველყოფს სასამართლო დოკუმენტაციის გადაცემას, სასამართლო სხდომისათვის საქმის მომზადებას;
4. უზრუნველყოფს მხარეთათვის სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შეტყობინებას, აგზავნის სასამართლო უწყებებს, აკონტროლებს უწყებათა სასამართლოში დაბრუნებას და აწვდის ინფორმაციას მოსამართლეს ადრესატისთვის მათი ჩაუბარებლობის მიზეზების შესახებ, უწყებების ჩაუბარებლობის შემთხვევაში ახდენს ადრესატების ინფორმირებას სხდომის თაობაზე სხვა ალტერნატიული გზით. ასევე ინფორმაციას აწვდის მოსამართლეს პროცესის მონაწილეთა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე;
5. ადგენს სასამართლოს სხდომების გრაფიკებს;
6. უზრუნველყოფს საჯარო შეტყობინებათა გამოქვეყნებას;
7. უზრუნველყოფს ნივთიერ-მტკიცებულებათა შენახვას;
8. უზრუნველყოფს საქმის დაცვა/შენახვას;
9. აწვდის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მხარეთათვის გადასაცემ დოკუმენტაციას;
10. უზრუნველყოფს საქმის მასალების ქრონოლოგიურ აღწერას და შეკერვას;
11. ახდენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების აღსრულებას;

[69] იგივე.

12. უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული, დამთავრებული საქმეების კანცელარიისთვის გადაცემას, მათ სრულყოფას და სიზუსტეს;
13. უზრუნველყოფს ზუსტი და დროული სტატისტიკური მონაცემების შესაბამისი სამსახურისთვის მომზადებას და გადაცემას;
14. ახორციელებს საპროცესო დოკუმენტების ერთიან ელექტრონულ პროგრამაში განთავსებას და დაშტრიხვას სათანადო წესით;
15. უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის დარბაზის მომზადებას;
16. ესწრება პროცესს, უზრუნველყოფს სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერას, ადგენს სხდომის ოქმს, ხელს აწერს და წარუდგენს მოსამართლეს;
17. არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში სასამართლოს სხდომაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს; აღრიცხავს სხდომის მიმდინარეობასთან დაკავშირებული მონაცემებს; აწვდის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მხარეთათვის გადასაცემ დოკუმენტაციას;
18. საჭიროების შემთხვევაში, მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ასრულებს სხდომის მდივნის ფუნქცია-მოვალეობებს;
19. მოთხოვნისამებრ და კომპეტენციის ფარგლებში აცნობს სამუშაო პროცესებს ახალ თანამშრომელს ან/და სტაჟიორს;
20. კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს ხელმძღვანელთა ცალკეულ დავალებებს;
21. ახორციელებს სამუშაოსთან დაკავშირებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

3. გამჭვირვალობის სტანდარტები ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგალითზე

3.1. სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია

„საქართველოს სასამართლოს გუშაგმა“ შეისწავლა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე 2013-2022 წლებში განთავსებული ინფორმაცია. სასამართლომ ჯამში 87 სიახლე გამოაქვეყნა. **საინტერესოა, რომ სასამართლო რეფორმების პარალელურად, 2013 წლიდან გამოქვეყნებული სიახლეების სტატისტიკა უფრო და უფრო კლებულობდა.**

ამ მხრივ ყველაზე კრიტიკული 2018 და 2021 წლებია. სიახლის სახით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე თითოეულ წელს მხოლოდ თითო ინფორმაცია განთავსდა.

2018 წელს სასამართლომ გამოაქვეყნა ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდისათვის მოსამზადებელ კურსზე მიღების შესახებ, ხოლო 2021 წელს - ინფორმაცია სტაჟიორთა მიღების შესახებ.

საინტერესოა ისიც, რომ www.hr.gov.ge-ს მონაცემებზე დაყრდნობით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2018 წელს 5-ჯერ, ხოლო 2021 წელს 7-ჯერ გამოცხადდა ვაკანსია სხვადასხვა პოზიციაზე. თითოეულ წელს გამოქვეყნებულ სიახლეში კი მხოლოდ სტაჟირების გამოცხადების შესახებ ვხვდებით ინფორმაციას, რაც წარმოაჩენს იმ პრობლემას, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიდგომა სელექციურია.



თითქმის 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 87 ინფორმაცია რაოდენობრივად არ მეტყველებს სასამართლოს ღიაობასა და გამჭვირვალობაზე, თანაც იმ ფონზე, როდესაც სასამართლოს ვებგვერდის სხვა სექციებიც არ გამოირჩევა ინფორმაციის სიმრავლით.

ასევე ბუნდოვანია, თუ რა პრინციპითა და კრიტერიუმით არჩევს ხოლმე სასამართლო ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას საქმეთა/გადაწყვეტილებების შესახებ. **ამ მიმართულებით სასამართლოს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე აქვს რამდენიმე სიახლე გამოქვეყნებული, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე/გადაწყვეტილებებზე ინფორმაციის გამოქვეყნებას სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს.**

უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდზე განთავსებული 20 ინფორმაცია, სასამართლოში ჩატარებული იმიტირებული პროცესებისა თუ სტუდენტების/მოსწავლეების ვიზიტის შესახებ, იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლო აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდების ინფორმირებულობის პროცესში, რაც ნამდვილად დადებითად უნდა შეფასდეს.

გარდა ამისა, დაინტერესებული პირისთვის სასამართლოს ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის სარჩელისა და შესაგებლის ფორმები.

პრობლემას წარმოადგენს ვებგვერდზე სასამართლო აპარატის მოხელეთა თაობაზე საკონტაქტო ინფორმაციის არასრულად გამოქვეყნება, რადგან მხოლოდ მათი ელექტრონული ფოსტის მისამართია მითითებული.

სასამართლო გუშაგების ქსელის წევრები აღნიშნავდნენ, რომ პრობლემა იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს აპარატის მოხელეებთან დაკავშირება და მიმდინარე საქმის თაობაზე ინფორმაციის სათანადო ხელმისაწვდომობა. როგორც ჩანს, მათთვის მიუწვდომელი იყო ინფორმაცია ცენტრის ნომრის შესახებ, საიდანაც ხდება გადამისამართება აპარატის კონკრეტულ მოხელესთან ან კანცელარიასთან.



3.2. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა ვებგვერდზე

„საერთო სასამართლოების შესახებ კანონის“ მე-13 მუხლის (3[1]) მიხედვით, **„ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში, სასამართლოს ვებგვერდზე ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება. სასამართლო გადაწყვეტილებებში შეტანილი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი წყდება კანონის შესაბამისად.“** თუმცა კანონის ეს ჩანაწერი უგულებელყოფილია და არ სრულდება.

ორი წლის წინ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სარჩელი სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობაზე მოქალაქეების პირადი მონაცემების დაფარვის გარეშე. საკონსტიტუციო სარჩელის ავტორს გასაჩივრებული ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში. საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის 1 მაისიდან[70] არაკონსტიტუციურად ცნო აღნიშნული მუხლები, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტს ახალი საკანონმდებლო ცვლილებები უნდა შეემუშავებინა, რაც ამ დრომდე არ განხორციელებულა.

შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის ზემოთ აღნიშნული მუხლი ძალაშია და სასამართლო ვალდებულია, იგი შეასრულოს.

თუმცა, სამწუხაროდ, რამდენიმე პრობლემას ვხვდებით გადაწყვეტილებების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით:

- სასამართლოების ერთიან ბაზაში (https://ecd.court.ge/Decision) 2020 წლის აპრილიდან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები საერთოდ აღარ არის გამოქვეყნებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ქუთაისის საქალაქო სასამართლო გამონაკლისი არ არის და ანალოგიური პრობლემაა სხვა სასამართლოებთან მიმართებაშიც.
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე არ არის მითითებული სასამართლოების ერთიანი ბაზის ბმული, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული პირი მიიღებს ინფორმაციას სასამართლოს განრიგისა თუ გადაწყვეტილებების შესახებ, თუნდაც 2020 წლის აპრილის ჩათვლით (ecd.court.ge მითითებულია მხოლოდ სხდომათა განრიგის სექციაში).

[70] 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება: https://bit.ly/3V25avV

3.3. საჯარო ინფორმაციის გაცემა

„საქართველოს სასამართლოს გუშაგმა“ 2022 წლის ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე მიმართა ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას, დამოუკიდებელ ინსპექტორს, უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

- აპარატის მოხელეთა ფუნქციების, ხელფასის და რაოდენობის შესახებ;
- ბიუჯეტიდან კვალიფიკაციისთვის დახარჯული თანხების შესახებ;
- ინფორმაცია ვაკანსიის, მივლინების და დაწინაურების შესახებ;
- წლის განმავლობაში შემოსული, განხილული და ნაშთად დარჩენილი საქმეების რაოდენობის შესახებ;
- ელექტრონული პროგრამის მეშვეობით საქმეების შემთხვევითი და პირდაპირი წესით განაწილების შესახებ;
- მოსამართლის მიერ საპენსიო ასაკის გამო თანამდებობის დატოვების ან სხვა სასამართლოში დანიშვნის/მივლინების გამო მის განხილვაში მყოფი საქმეების სხვა მოსამართლეებისთვის გადანაწილების შემთხვევების შესახებ;
- ვადის დაცვით და დარღვევით განხილული საქმეების და მათი მიზეზების შესახებ;
- სხვა ინფორმაცია, რაც სასამართლო ადმინისტრირების საკითხებს ეხებოდა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილებზე პასუხი ორგანიზაციას უმეტესი უწყებიდან არ მიუღია 10 დღის ვადაში - გამონაკლისი იყო დამოუკიდებელი ინსპექტორი და საქართველოს უზენაესი სასამართლო. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ მოახდინეს რეაგირება, თუმცა არასრულყოფილად. უწყებების ნაწილმა, როგორიცაა იუსტიციის უმაღლესი სკოლა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვა ორგანიზაციის წერილები.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს:

- **მოსამართლის დანიშვნა:** მოსამართლეთა დანიშვნის გადაწყვეტილებებში მიზანშეწონილია მიეთითოს, თუ რამდენჯერ მონაწილეობდა კანდიდატი წინა კონკურსებში და როგორი იყო კენჭისყრის შედეგები. გარდა ამისა, კონკრეტული მოსამართლის რეპუტაციისთვის და შესაბამისად სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაასაბუთოს,

წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, რატომ დაინიშნა კანდიდატი მოსამართლის თანამდებობაზე.

- **მოსამართლის მივლინება:** პირველ რიგში, უნდა შესრულდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები მოსამართლის მივლინებასთან დაკავშირებით, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ მოსამართლეთა მივლინება მათი ნების საწინააღმდეგოდ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს შესაძლებელი და ლეგიტიმური მიზნით გამართლებული. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს მივლინების მკაფიო და ვიწრო კრიტერიუმები, აგრეთვე, უფრო მოკლე ვადები. გარდა ამისა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, მივლინებისას ხელახლა დაინერგოს გეოგრაფიული შეზღუდვები.

  „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არსებული ვითარების შესწავლის შედეგად, პრაქტიკაში აუცილებლად მიიჩნევს მოსამართლეთა მივლინებებს, კანონის მოთხოვნის შესაბამისად და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, იმ კოლეგიებსა და პალატებში, სადაც განსახილველ საქმეთა რაოდენობის და მოსამართლეთა სიმცირის გამო გადატვირთულობაა.

- **მოსამართლეთა დანიშვნა კონკურსის გარეშე:** მიზანშეწონილია, იუსტიციის საბჭომ მოსამართლეთა კონკურსის გარეშე ერთი სასამართლოდან მეორე სასამართლოში გადაყვანა, პირველ რიგში, მათი საქმიანობის შეფასების საფუძველზე განახორციელოს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ განსახილველ საქმეთა და მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღოს იმ სასამართლოს მდგომარეობა, საიდანაც გადაჰყავს მოსამართლე სხვა სასამართლოში.

- **გადატვირთულობა:** ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში ვაკანტურ ადგილებზე დაინიშნონ მოსამართლეები, რათა სასამართლოს გადატვირთულობა შემცირდეს და მოქმედ მოსამართლეებს არ უწევდეთ სამივე სპეციალიზაციაში საქმეების განხილვა.

- **შრომის ანაზღაურება:** ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება გაუთანაბრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას.

- **სასამართლოს თავმჯდომარე:** ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ კანონის შესაბამისად შეისწავლოს და განაზოგადოს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლები, საქმისწარმოების ვადები, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზები) და ის წელიწადში ერთხელ მაინც მიაწოდოს მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

- **მოსამართლის თანაშემწის შტატი:** მაგისტრატ სასამართლოს აპარატში დაემატოს მოსამართლის თანაშემწის შტატი, მსგავსად ქუთაისის საქალაქო და რაიონული სასამართლოებისა.

- **მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები:** გადაიხედოს და დაზუსტდეს სასამართლოს მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მაგალითად, მწერალი თანაშემწის შემთხვევაში ერთ-ერთ მოთხოვნად დაემატოს უცნო ენის ცოდნა, რათა მოხელეს ჰქონდეს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შესაძლებლობა.

- **ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდი:** ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გააანალიზოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია და სისტემურად განაახლოს მის ყველა სექციაში არსებული მონაცემები, ასევე, რეგულარულად მიაწოდოს სიახლეები საზოგადოებას სასამართლოს საქმიანობის, სასამართლოს გადაწყვეტილებების, ვაკანსიების და ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

- **სასამართლო გადაწყვეტილებები:** პირველ რიგში, უნდა შესრულდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნა და სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა გამოქვეყნდეს რეგულარულად. ხოლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თავის ვებგვერდზე მიუთითოს სასამართლოს ერთიანი ბაზის ბმული (http://ecd.court.ge/), რათა მომხმარებელმა მარტივად მოძებნოს სასურველი გადაწყვეტილება.

საქართველოს პარლამენტს:

- **კონკურსის გარეშე დანიშვნა:** მიზანშეწონილია, ორგანული კანონიდან ამოღებული იქნეს 37-ე მუხლი მოსამართლეების კონკურსის გარეშე დანიშვნის თაობაზე და მოსამართლეთა დაწინაურება ან კონკურსის წესით დანიშვნა მხოლოდ დამსახურებაზე დაფუძნებული კრიტერიუმებით განხორციელდეს.

- **თავმჯდომარე და მენეჯერი:** ჩამოშორდეს სასამართლოს თავმჯდომარეს ადმინისტრაციული ფუნქციები და გაფართოვდეს სასამართლოს მენეჯერის ფუნქციები სასამართლო აპარატის მოხელეთა დაქვემდებარების, ანგარიშების წარდგენის და ა.შ. მიმართულებებით. კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 23-ე და 32-ე მუხლში და შემცირდეს სასამართლოს თავმჯდომარის ზედამხედველობითი ფუნქციები აპარატზე. ასევე, ცვლილება შევიდეს 56-ე მუხლში და გაფართოვდეს მენეჯერის ფუნქციები აპარატის ზედამხედველობის ნაწილში.

იუსტიციის უმაღლეს სკოლას:

- **სპეციალიზაციის მიხედვით გადამზადება:** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოსამართლისთვის მისი სპეციალიზაციის გარეთ საქმეების განხილვის დავალებისას იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უზრუნველყოს მათი გადამზადება სხვა სპეციალიზაციაშიც.